უცხო ენებისა და კომპიუტერული უნარ-ჩვევების შესწავლა. მასწავლებელთა გადამზადება. სასწავლო მეთოდოლოგიების გაუმჯობესება და ინგლისური ენის პედაგოგთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. სკოლის ადმინისტრაციისა და სკოლის პერსონალის პროფესიული განვითარება. ასევე მოთხოვნის შესაბამისად განხორციელდება აფხაზური ენის შესწავლა.

9.9. სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა

სკოლისგარეშე სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობა;

სახელოვნებო განათლების ხარისხის ამაღლება და კულტურისა და ხელოვნების სფეროს კვალიფიციური სპეციალისტებით უზრუნველყოფა;

სახელოვნებო სკოლების ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და ინსტიტუციური განვითარების გეგმის შემუშავება;

საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების და ამოქმედების ხელშეწყობა;

აჭარის რეგიონში არსებულ მუსიკალურ სკოლებში საორკესტრო მიმართულების განვითარების ხელშეწყობა;

სახელოვნებო საგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეების მხარდაჭერა სხვადასხვა საერთაშორისო კონკურსებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის გზით.

9.10. სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობა

ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩართვა სპორტულ-გამაჯანსაღებელ სექციებში, მათი მეთოდური აღზრდა და დაოსტატება. ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და მისი დამკვიდრება მოზარდ თაობაში, მასობრივი სპორტის განვითარება.

10. კულტურის განვითარება, ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

კულტურული ცხოვრების განვითარება და მოსახლეობის უზრუნველყოფა სხვადასხვა კულტურული აქტივობებით მნიშვნელოვანია საზოგადოების განვითარების და ცნობიერების ამაღლებისათვის, რაც თავის მხრივ განაპირობებს ძლიერი და განათლებული საზოგადოების ჩამოყალიბებას. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად „სახელმწიფო ხელს უწყობს კულტურის განვითარებას, კულტურულ ცხოვრებაში მოქალაქეთა შეუზღუდავ მონაწილეობას, კულტურული თვითმყოფლობის გამოვლინებასა და გამდიდრებას, ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა აღიარებას და საერთაშორისო კულტურულ ურთიერთობათა გაღრმავებას“. საქართველოს კანონი „კულტურის შესახებ“ აკისრებს სახელმწიფოს ყოველმხრივ ხელი შეუწყოს კულტურის განვითარებას, კულტურულ ცხოვრებაში მოქალაქეთა შეუზღუდავ მონაწილეობას, კულტურის მონაპოვართა ხელმისაწვდომობას, ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა საყოველთაო აღიარებას, საერთაშორისო კულტურულ ურთიერთობათა გაღრმავებასა და გაფართოებას, შემოქმედებით ინტეგრაციას.

აჭარის რეგიონი გამოირჩევა კულტურული რესურსების, ფესტივალებისა და სხვა კულტურული აქტივობების მრავალფეროვნებით, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და ფოლკლორის უნიკალური ნიმუშებით. სამინისტრო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უფლებამოსილია ხელი შეუწყოს რეგიონში ერთიანი კულტურის პოლიტიკის გატარებას, კულტურის განვითარებასა და პოპულარიზაციას, კულტურის მიმართულებით საქმიანობის ბრენდირებას და საკომუნიკაციო გეგმის შექმნას, რეგიონის კულტურის პროდუქტების ერთიანი საკომუნიკაციო კონცეფციის შემუშავებას, საბიუჯეტო წლის განმავლობაში განხორციელებული კულტურული პროექტების ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე მარკეტინგს. უნიკალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ფოლკლორის დაცვა-შენარჩუნებას და კულტურული ტურიზმის განვითარებას.

10.1. კულტურის პოპულარიზაცია და შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების ხელშეწყობა

კულტურის ღონისძიებების – ფესტივალების, კონცერტების და სხვა წარმოდგენების ორგანიზება/ორგანიზების ხელშეწყობა.

კულტურის თანამედროვე მიმართულებების განვითარების ხელშეწყობა;

აჭარაში კინოხელოვნების განვითარების ხელშეწყობა;

შემოქმედებითი ინკუბატორის მხარდაჭერა.

10.2. კულტურის ორგანიზაციების ინსტიტუციური განვითარების ხელშეწყობა

აჭარაში თეატრალური ფესტივალის ორგანიზების მხარდაჭერა;

სამუზეუმო საქმიანობის განვითარება. ვიზიტორებისათვის შეთავაზებული პროდუქტის გამრავალფეროვნება და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება.

10.3. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და პოპულარიზაცია

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა: მისი სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფა, მათ შორის, მისი იდენტიფიკაცია, დოკუმენტირება, კვლევა, შენარჩუნება, დაცვა, პოპულარიზაცია, მისი როლის ამაღლება და მისი გადაცემა თაობებისთვის უმთავრესად არაფორმალური განათლების მეშვეობით, აგრეთვე არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სხვადასხვა ასპექტის აღორძინება.

10.4. კულტურის სფეროს წარმომადგენელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა



აჭარის რეგიონში მოღვაწე კულტურის სფეროს წარმომადგენელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა; ხელოვანთა შემოქმედებითი ზრდის ხელშეწყობა; კულტურის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების ხელშეწყობა; კულტურის სფეროს წარმომადგენელთა კულტურის მენეჯმენტის მიმართულებით გადამზადების ხელშეწყობა, შემოქმედებითი პროცესების გააქტიურება.

10.5. კულტურული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა

ერის ისტორიის, კულტურის, ეთნოგრაფიის, მატერიალური და არამატერიალური მემკვიდრეობის პოპულარიზაციის, სხვადასხვა სახელოვნებო პროექტების განხორციელების გზით რეგიონის ცნობადობის გაზრდა და მისი ტურისტული პოტენციალის რეალიზების ხელშეწყობა.

კულტურის ღონისძიებათა ორგანიზებას ხელოვანებისა და ფოლკლორის წარმომადგენელთა მონაწილეობით ტურისტულად დატვირთულ ლოკაციებზე.

10.6. კულტურის დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

კულტურის დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, კულტურის დაწესებულებების შენობების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა შენობა-ნაგებობების შშმ პირებისათვის ადაპტირების მიზნით.

10.7. კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, განვითარება და პოპულარიზაცია

სარეაბილიტაციო-სარესტავრაციო სამუშაოების განხორციელების გზით ხორციელდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზღვრებში არსებული კულტურული ძეგლების დაცვა და შენარჩუნება, ასევე არსებული მუზეუმების რეაბილიტაცია, პოპულარიზაცია და სამუზეუმო ქსელის გაფართოება.

10.8. მუზეუმებისა და გალერეების განვითარება

სამეცნიერო-კვლევითი, საექსპოზიციო და საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვა თანამედროვე მოთხოვნილებათა შესაბამისად;

მუზეუმებში ფართო საზოგადოების მოზიდვის ხელშეწყობა.

10.9. სასცენო და სამუსიკო ხელოვნების ხელშეწყობა

სასცენო და სამუსიკო ხელოვნების ხელშეწყობის მიზნით აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო უზრუნველყოფს სასცენო, სამუსიკო და თეატრალური ხელოვნების სფეროში პოლიტიკის განხორციელებას, განვითარების ხელშეწყობასა და პოპულარიზაციას. ასევე სასცენო და სამუსიკო დაწესებულებების განვითარებას; აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოქმედი სასცენო და სამუსიკო დაწესებულებების გასტროლებს, უცხოური დასების აჭარაში მიღებას და სხვა შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას.

10.10. ლიტერატურული ცხოვრების განვითარების ხელშეწყობა

ქართული მწერლობისა და სალიტერატურო ცხოვრების განვითარებისათვის ხელშეწყობი პირობების შექმნა.

10.11. საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა

გაზეთების ბეჭდვა-გავრცელების ხელშეწყობა.

11. სპორტის განვითარების ხელშეწყობა, პოპულარიზაცია და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროს ხელშეწყობა

აჭარის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე სპორტისა და ახალგაზრდობის კომპეტენციის ფარგლებში ხორციელდება რეგიონში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა, კულტურულ-შემოქმედებით და შემეცნებით საქმიანობაში ახალგაზრდობის ჩართულობა, რაც ხელს უწყობს მომავალი თაობის ინტელექტუალური პოტენციალის ზრდას, მათი სულიერი და პატრიოტული სულისკვეთების ამაღლებას.

სპორტის განვითარება რეგიონში ნიშნავს, რომ სპორტში ჩართულ ახალგაზრდებს უჩნდებათ კონკრეტული სპორტის სახეობის მიმართ ინტერესი, რაც ახალგაზრდების ფიზიკური ჯანმრთელობის სრულყოფას, მათ პოპულარიზაციას როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივ დონეზე უწყობს ხელს. სპორტისა და ახალგაზრდობის სფერო ერთმანეთს ავსებს, სწორედ აქედან გამომდინარე ახალგაზრდების მხარდაჭერა მნიშვნელოვანია რეგიონის განვითარების სამომავლო ხედვაში.

11.1. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროს მართვა

სპორტის განვითარების ხელშეწყობა, პოპულარიზაცია და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროს ხელშეწყობა.

11.2. სპორტის ხელშეწყობა

ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, სპორტული მიღწევების გაუმჯობესება და ეროვნულ და საერთაშორისო ასპარეზზე წარმატებული გამოსვლა.

სპორტის სფეროში აჭარის ჩემპიონატებისა და პირველობების, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებში, სხვადასხვა საერთაშორისო და რესპუბლიკურ ტურნირებში აჭარის გუნდებისა და სპორტსმენების მონაწილეობა. დაჯილდოვდება წლის განმავლობაში მიღწეული შედეგების მიხედვით წარმატებული სპორტსმენები, მწვრთნელები, ფედერაციები და ჟურნალისტები.

სპორტის ცალკეულ სახეობებში მიღწეული წარმატებებისათვის სპორტსმენთა და მწვრთნელთა მატერიალური წახალისება, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წამყვან სპორტსმენთა და მწვრთნელთა ცხოვრების ეკონომიური და სოციალური პირობების გაუმჯობესება, სპორტის სახეობების მიხედვით ნაკრები



გუნდების წევრთა, მთავარ და პირად მწვრთნელთა შორის კონკურენციის გაზრდა.

საპენსიო ასაკის, ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონების, პრიზიორების, სპორტის დამსახურებული მუშაკების, მოღვაწეებისა და მწვრთნელებისათვის ფინანსური დახმარება, არასაპენსიო ასაკის საქართველოს დამსახურებული მწვრთნელების ფინანსური მხარდაჭერა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გუნდური თამაშების: ხელბურთის, ფრენბურთის, წყალბურთის, ფეხბურთის, რაგბის, კალათბურთის, ინდორ ჰოკეის და ინდივიდუალური სახეობების: ბერძნულ-რომაული ჭიდაობის, თავისუფალი ჭიდაობის, მშვილდოსნობის, ძიუდოს და ძალოსნობის შემდგომი პოპულარიზაცია და განვითარება. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალგაზრდული, ჭაბუკთა და კადეტთა ნაკრები გუნდების მომზადება ეროვნულ და საერთაშორისო ასპარეზზე ღირსეულად გამოსვლისათვის. აჭარის ნაკრები გუნდების წევრთა ოსტატობის ამაღლება.

34 სპორტული სახეობა უზრუნველყოფილი იქნება სპორტული ინვენტარით. მოსწავლე-ახალგაზრდობის დიდ ნაწილს მიეცემა შესაძლებლობა ივარჯიშოს თანამედროვე სპორტული ინვენტარით და დაესწროს სპორტულ შეჯიბრებებს ესთეტიკურად მოწესრიგებულ გარემოში.

11.3. ახალგაზრდულ საქმეთა სფეროს ხელშეწყობა

კულტურულ-შემოქმედებითი, შემეცნებითი და გასართობი ღონისძიებების მოწყობა, რეგიონის ახალგაზრდების ჩართვა სხვადასხვა აქტივობებში, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა, ახალგაზრდების ცოდნისა და უნარების გაღრმავება სხვადასხვა მიმართულებით.

11.4. 2018 წლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის მხარდაჭერა

საქართველოში, აჭარაში მსოფლიო დონის შეჯიბრებების გამართვა;

მომავალი თაობებისათვის ახალი შესაძლებლობების მიცემა.

12. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა

ქვეყნის მასშტაბით სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ხორციელდება მთელი რიგი სახელმწიფო და ადგილობრივი პროგრამები, რომლითაც დაცულია ადამიანების უფლება ამ სფეროში. მიუხედავად ამისა მოსახლეობის სხვადასხვა სოციალურად დაუცველი კატეგორიის ადამიანებისათვის ხელმიუწვდომელი რჩება ზოგიერთი ფასიანი სამედიცინო მომსახურება, ისინი მოკლებულნი არიან საშუალებას მიიღონ დროული სამედიცინო დახმარება. უსახსრობის გამო სამედიცინო დაწესებულებებს მიმართავენ დიდი დაგვიანებით, დაავადებების გართულებული ფორმებით, რომელთა მკურნალობა უფრო დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. შედეგად იზრდება მკურნალობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკები, დაავადების გართულებების ალბათობა, მცირდება მკურნალობის ეფექტურობის მაჩვენებელი, იზრდება შეზღუდული შესაძლებლობები, ლეტალობა;

სამინისტროს 2018-2021 წლების პრიორიტეტი თავისი შინაარსითა და მოცულობით ძირითადად ორიენტირებული იქნება სოციალურად დაუცველ ფენებზე და დაავადების მაღალი რისკის ჯგუფებზე, სხვადასხვა სოციალურად დაუცველი კატეგორიის ადამიანებისათვის მკურნალობასთან დაკავშირებული იმ ფინანსური რისკებისაგან დაცვაზე, რომელიც ვერ იფარება მოქმედი სახელმწიფო სამედიცინო პროგრამებით, ამბულატორიულ, მაღალტექნოლოგიურ დიაგნოსტიკურ კვლევაზე, სახსრების ენდოპროტეზირების, მოსახლეობის საზღვარგარეთ მკურნალობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკებისაგან დაცვაზე, ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ პაციენტთა დამატებითი სამედიცინო მომსახურების, მოქალაქეთა კარდიოქირურგიული დამატებითი სამედიცინო მომსახურების, მოზრდილი მოსახლეობის რეაბილიტაციასთან დაკავშირებული ფინანსური რისკებისგან დაცვაზე, სოფლის მოსახლეობისათვის უწყვეტი სამედიცინო დახმარების მიწოდებაზე. პირველადი ჯანდაცვის განვითარების ხელშეწყობაზე.

12.1. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროს პოლიტიკის შემუშავება და მართვა

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, დასაქმების, დევნილთა და განსახლების სფეროში საქართველოს ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება;

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის დარგში პრიორიტეტულ ღონისძიებათა შემუშავება;

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურებისადმი ხელმისაწვდომობის გაზრდა, მომსახურების ეფექტიანობის ამაღლება და დასაქმების ხელშეწყობა;

12.2. სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარება

მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ჯგუფების, მათ შორის, სოციალურად დაუცველი კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებული იმ ფინანსური რისკებისაგან დაცვა, რომელიც ვერ იფარება სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული სამედიცინო პროგრამებით.

12.2.1. მოსახლეობის ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება

სოციალურად დაუცველი და სხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის მკურნალობასთან დაკავშირებული იმ ფინანსური რისკებისაგან დაცვა, რომელიც ვერ იფარება მოქმედი სახელმწიფო სამედიცინო პროგრამებით.

12.2.2. გულის ქირურგიის დამატებითი სამედიცინო მომსახურება

მოსახლეობის დამატებით კარდიოქირურგიულ მომსახურებაზე (სამედიცინო მომსახურება, რომელიც არ ფინანსირდება სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული სამედიცინო პროგრამებით) ფინანსური



ხელმისაწვდომობა და საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით დაფინანსებული კარდიოქირურგიული ოპერაციების თანაგადახდა სრულად სახელმწიფო პროგრამით დამტკიცებული ტარიფის ფარგლებში.

12.2.3. სახსრების ენდოპროთეზირება

მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური კატეგორიისათვის სახსრების ენდოპროთეზირების (გადაგვარებული ან დაზიანებული სახსრის ჩანაცვლება ხელოვნური იმპლანტით) ჩატარებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

12.2.4. ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევა

სოციალურად დაუცველი და სხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობისათვის მაღალტექნოლოგიურ დიაგნოსტიკურ კვლევებზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

12.2.5. ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ პაციენტთა დამატებითი სამედიცინო მომსახურება

ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ პაციენტთათვის (დადასტურებული დიაგნოზით) დამატებით სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობა.

12.2.6. ზოგიერთი სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება

ზოგიერთი სოციალური კატეგორიის მოსახლეობისათვის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის გეგმური სტაციონარული სამედიცინო მომსახურების, თანაგადახდის სრულად დაფინანსება სახელმწიფო პროგრამით დამტკიცებული ტარიფის ფარგლებში.

12.2.7. მოზრდილი მოსახლეობის სამედიცინო რეაბილიტაცია

მოზრდილი მოსახლეობის (18 წლის ზემოთ) ნებისმიერი ორგანული სისტემის დაავადებით ან დაზიანებით განპირობებული უუნარობის ფუნქციის აღდგენა და შესაბამისად ცხოვრების ხარისხის ამაღლება.

12.2.8. მოსახლეობის საზღვარგარეთ მკურნალობის თანადაფინანსება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის დაცვა საზღვარგარეთ მკურნალობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკებისაგან. ბენეფიციარებს წარმოადგენენ სხვადასხვა დაავადებების მქონე პირები, რომელთა აუცილებელი სამედიცინო მომსახურება ვერ ხერხდება საქართველოს სამკურნალო დაწესებულებებში (სპეციალისტი/ექსპერტის დასკვნის შესაბამისად) და რომლებიც ნაწილობრივ დაფინანსებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროგრამით „მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების მიწოდება პრიორიტეტულ სფეროებში“.

12.3. პირველადი ჯანდაცვის ხელშეწყობა

მუნიციპალიტეტების პირველადი ჯანდაცვის ცენტრების სერვისების რადიკალური გაუმჯობესება და მობილურობის გაზრდა; სოფლის მოსახლეობისათვის უწყვეტი, ბაზისური სამედიცინო მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა.

12.3.1. სოფლის სამედიცინო პერსონალის დამატებითი შრომის ანაზღაურება

სამედიცინო პერსონალის სოფლებში დამაგრება და მათი სოციალურ-ეკონომიური პირობების გაუმჯობესება, მუნიციპალიტეტების სოფლის მოსახლეობისათვის ბაზისური, უწყვეტი სამედიცინო მომსახურების მიწოდებისათვის სოფლის ექიმებისა და ექთნების მატერიალური სტიმულირება მათთვის ხელფასის დანამატის დანიშვნით, მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების (ქედა, შუახევი, ხულო) სოფლის ექიმებისათვის – 300 ლარი, სოფლის ექთნებისათვის – 150 ლარი; ხელვაჩაურის და ქობულეთის სოფლის ექიმებისათვის – 150 ლარი, სოფლის ექთნებისათვის – 100 ლარი.

12.3.2. სოფლად პირველადი ჯანდაცვის განვითარებაზე ხელშეწყობა

აჭარის ა.რ მუნიციპალიტეტების სოფლის პირველადი ჯანდაცვის ცენტრების მობილურობის გაზრდის მიზნით მაღალი გამავლობის ავტომანქანების შეძენა.

12.4. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა

რეგიონში ეპიდემიოლოგიურად კეთილსაიმედო გარემოს უზრუნველყოფა, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და გაუმჯობესება გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საფრთხეებისადმი მზადყოფნისა და დროული რეაგირების გზით; ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა, მოსახლეობის ცნობიერების დონის გაზრდა და ჩართულობა;

დაავადებათა ადრეული გამოვლენა და დიაგნოსტიკა, არაგადამდებ დაავადებებთან დაკავშირებული ავადობითა და უნარშეზღუდულობით გამოწვეული მართვადი ტვირთის შემცირება, სამედიცინო დიაგნოსტიკურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მუნიციპალურ დონეზე.



13. მოსახლეობის სოციალური დაცვა

ქვეყანაში მოქმედებს სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამა, რომლის მიზანია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა (მათ შორის, ბავშვთა), ხანდაზმულთა, ოჯახურ მზუნველობას მოკლებულ, სოციალურად დაუცველ, მიუსაფარ და მიტოვების რისკის ქვეშ მყოფ ბავშვთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და საზოგადოებაში ინტეგრაცია.

სამინისტრო გამოყოფს მოსახლეობის გარკვეულ კატეგორიებს, რომელთა სოციალურ/ფსიქიკური ჯანმრთელობა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან დამატებით მხარდაჭერას, უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობას, მათთვის თანაბარი შესაძლებლობების პირობების შექმნას. ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებელი უზრუნველყოფა. სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახები უზრუნველყოფილი არიან უსაფრთხო საცხოვრებელით.

13.1. სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაცია

18 წლამდე ასაკის ბავშვთა სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის ღონისძიებების განხორციელება.

ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაცია /რეაბილიტაცია – ბავშვთა ცერებრალური დამბლის, ცენტრალური და პერიფერიული ნერვული სისტემის, კუნთების სხვადასხვა დაავადებების მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის კურსების დაფინანსება.

სკოლიოზით დაავადებულ ბავშვთა რეაბილიტაცია – სხვადასხვა ხარისხის სკოლიოზის მქონე ბავშვებისათვის რეაბილიტაციის კურსების დაფინანსება.

ბავშვთა ადრეული განვითარება – გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვების განვითარების სტიმულირება და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა.

შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვთა სოციალური ადაპტაცია – შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვების სამედიცინო მეთვალყურეობა, მათ საჭიროებებზე მორგებული სწავლება, მათი ფსიქოლოგიური დახმარება, სადღეღამისო მომსახურება კვებით, სოციალური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება.

აუტიზმის სპექტრის დარღვევების მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია – აუტიზმის სპექტრის დარღვევების მქონე 2-დან 15 წლამდე ასაკის ბავშვების რეაბილიტაციის კურსების დაფინანსება.

13.2. მოსახლეობის გარკვეული სოციალური კატეგორიის ერთჯერადი მატერიალური დახმარება

მოსახლეობის გარკვეული ჯგუფების ერთჯერადი მატერიალური დახმარება.

100 წელს გადაცილებული მოქალაქეების ერთჯერადი მატერიალური დახმარება – 100 წელს გადაცილებული მოქალაქეებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების (1000 ლარი) გაცემა.

ახალშობილი ტყუპების ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარება – ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემა იმ ოჯახებზე, სადაც დაიბადება ტყუპი – 2 ბავშვი 2000 ლარის, 3 ბავშვი – 3000 ლარის, 4 ბავშვი – 4000 ლარის ოდენობით (ტყუპისცალზე –1000 ლარი) და ა.შ.

2008 წლის რუსული აგრესიის შედეგად და 2012 წელს ავღანეთში დაღუპულ მეომართა ოჯახების დახმარება – 2008 წლის აგვისტოს თვეში განვითარებული საომარი მოქმედებების შედეგად დაღუპულ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე რეგისტრირებული სამხედრო მოსამსახურის, ასევე 2012 წელს ავღანეთში საერთაშორისო სამხედრო ოპერაციის შესრულების დროს დაღუპულ მეომრის ოჯახზე მატერიალური დახმარების გაწევა – დედისა და ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მატერიალური დახმარება გაეწევა დაღუპული მეომრების დედებსა და მეუღლეებს თითოეულს 1000 ლარის ოდენობით.

2008 წლის რუსული აგრესიის დროს დაღუპულ, დაზიანების შედეგად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და 2012 წელს ავღანეთში დაღუპულ მეომართა ოჯახების დახმარება – 2008 წლის აგვისტოს თვეში განვითარებული საომარი მოქმედებების შედეგად დაღუპული სამხედრო მოსამსახურის, მიღებული დაზიანებების შედეგად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე მეომრების, ასევე 2012 წელს ავღანეთში საერთაშორისო სამხედრო ოპერაციის შესრულების დროს დაღუპულ მეომრის ოჯახებზე მატერიალური დახმარების გაწევა - აგვისტოს თვეში ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაეწევა მეომრის ოჯახებს – თითოეულს 3000 ლარის ოდენობით.

13.3. შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე პირთა და ხანდაზმულთა უზრუნველყოფა დამხმარე საშუალებებით

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა, მოზრდილთა და ხანდაზმულ პირთა დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა გადაადგილების საშუალებებით უზრუნველყოფა – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირებზე სავარძელ- ეტლების გაცემა, მორგება, გამოყენებასთან დაკავშირებული სარეკომენდაციო-საკონსულტაციო და ტექნიკური მომსახურების გაწევა, საგარანტიო მომსახურება.

სმენადაქვეითებულ მოქალაქეთა სმენის აპარატებით უზრუნველყოფა - სმენადაქვეითებულ პირებზე სმენის აპარატების გაცემა, მორგება, გამოყენებასთან დაკავშირებული სარეკომენდაციო-საკონსულტაციო და



ტექნიკური მომსახურების გაწევა, საგარანტიო მომსახურება.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა სხვა დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა – შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე (მათ შორის, ბავშვები), ხანგრძლივად მოავადე (ნევროლოგიური, ონკოლოგიური, ტრავმატოლოგიური და სხვა პროფილის დაავადებების) პაციენტები, რომელთაც აქვთ იძულებითი წოლითი რეჟიმი და ხანდაზმულ პირთა მოვლისა და დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა.

13.4. მოსახლეობის გარკვეული კატეგორიების თავშესაფრით უზრუნველყოფა

მოსახლეობის გარკვეული კატეგორიების თავშესაფრით უზრუნველყოფა.

მარტოხელა დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფა – მარტოხელა/მიუსაფარ დედათა და ბავშვთა თავშესაფრით, კვებით, პირადი ჰიგიენის ნივთებით უზრუნველყოფა, მათი ფსიქოლოგიური დახმარება, სოციალური უნარ-ჩვევების სწავლება.

ფსიქიკური პრობლემების მქონე გერიატრიული პაციენტების თავშესაფრით უზრუნველყოფა – ფსიქიკური პრობლემების მქონე გერიატრიული პაციენტების თავშესაფრით, კვებით, პირადი ჰიგიენის ნივთებით უზრუნველყოფა, რეაბილიტაცია, მათი და ოჯახის წევრების ფსიქოლოგიური დახმარება.

13.5. ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებელი უზრუნველყოფა

ეკომიგრანტი ოჯახების უსაფრთხო საცხოვრებელი უზრუნველყოფა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოების ბოლო მონაცემებით, დაახლოებით 600-ზე მეტი სტიქიის შედეგად დაზარალებულ და გადაადგილებას დაქვემდებარებულ ოჯახს ესაჭიროება უსაფრთხო საცხოვრისით უზრუნველყოფა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს დაკვირვებით, სტიქიური კატაკლიზმების გახშირების გამო, აღნიშნული მონაცემები იზრდება. შედეგად ასობით ოჯახს, მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ფინანსურად არ ხელეწიფება უსაფრთხო საცხოვრისის შეძენა და ცხოვრებას განაგრძობს სტიქიური კატასტროფების ზონაში, სადაც მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება.

14. დასაქმების ხელშეწყობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უმუშევრობა ყველაზე მწვავე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა და აქტიური გამოწვევაა. არსებული სოციალური პრობლემების გადაჭრისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობისათვის უმუშევრობასთან ბრძოლის კონცეფციის, დასაქმების სისტემისა და მექანიზმების განვითარების ხელშეწყობას. შრომის ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის აუცილებელია შესაბამისი ინფრასტრუქტურის არსებობა, კერძოდ დასაქმების სახელმწიფო სამსახური, რომელიც წარმოადგენს არა მხოლოდ დასაქმების ხელშეწყობის ეფექტიან ინსტიტუტს (უზრუნველყოფს რა დამსაქმებელსა და სამუშაოს მაძიებელის ოპერატიულ კავშირს, ვაკანსიის შესაბამისი კადრის შერჩევასა და დამსაქმებლისათვის შეთავაზებას, არამედ ქმნის ინფორმაციულ ბაზას სამუშაოს მაძიებლისა (მათ შორის, უმუშევრების) და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესახებ, საინფორმაციო და საკონსულტაციო მომსახურების შეთავაზებით ხელს უწყობს სამუშაოს მაძიებელთა პროფესიულ ორიენტაციას საკუთარი შესაძლებლობებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული სწავლების მხარდაჭერით უზრუნველყოფს სამუშაო ძალაზე მოთხოვნა-მიწოდებას შორის არსებული დისბალანსის შემცირებას. ეს ყოველივე დადებითად აისახება რეგიონის ეკონომიკური და სოციალური განვითარების დაჩქარებაზე.

14.1. დასაქმების ხელშეწყობის უზრუნველყოფა

დასაქმების ხელშეწყობის მართვის ეფექტიანი უზრუნველყოფისათვის მნიშვნელოვანია სამუშაო ძალის მდგრადი გაუმჯობესება, მათი შესაძლებლობებისა და პოტენციალის განვითარება შრომის ბაზრის საჭიროებებზე ორიენტირებული პროფესიული და არაფორმალური სწავლების უზრუნველყოფით, შრომის ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირებისა და მათი შემდგომი დასაქმებისა და თვითდასაქმების ხელშეწყობისათვის. სააგენტოს პოპულარიზაციის ხარისხის ამაღლება, რათა სააგენტოს ეფექტიანი და ხელმისაწვდომი მომსახურების ინფორმირებულობის ხარისხი გაიზარდოს და აჭარის მოსახლეობისა და დაინტერესებული მხარეების უმრავლესობა მოიცვას.

14.1.1. დასაქმების ხელშეწყობის მართვა

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში დასაქმების სისტემისა და მექანიზმების განვითარების ხელშეწყობა.

14.1.2. სააგენტოს საქმიანობის პოპულარიზაცია

სააგენტოს საქმიანობისა და სერვისების შესახებ ინფორმირებულობა სხვადასხვა აქტივობებისა და მეთოდების გამოყენებით და პერსონალური თანამშრომლობის გზით დამსაქმებლებთან და სამუშაოს მაძიებლებთან კომუნიკაციის გააქტიურება შრომითი კონსულტანტების მეშვეობით.

14.1.3. დასაქმების ხელშეწყობა პროფესიული მომზადება/გადამზადების გზით

საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების პროფესიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენა/ამაღლება, მათი შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით.

14.1.4. შშმ პირთა პროფესიული გადამზადებისა და დასაქმების ხელშეწყობა

შშმ პირების პროფესიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენა/ამაღლება, მათ ინდივიდუალურ



საჭიროებებზე მორგებული პროფესიული სასწავლო კურსის შეთავაზებით.

14.1.5. სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობა

სწავლის პარალელურად სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობი ღონისძიებების გატარებით სტუდენტებში შრომითი უნარების განვითარება და დასაქმების მაჩვენებლის ზრდა.

14.1.6. კვალიფიკაციის ამაღლება არაფორმალური განათლების გზით

პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლება და უნარების გაძლიერება ახალი საბაზრო მოთხოვნებისა და საჭიროებების შესაბამისად საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების გზით.

15. სოფლის მეურნეობის დარგის შემდგომი განვითარება

სოფლის მეურნეობა და მისი შემდგომი განვითარება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ერთ-ერთი პრიორიტეტული სფეროა და წარმოადგენს ფერმერთა და აგრომეწარმეთა შემოსავლების უმთავრეს წყაროს, როგორც ფულადი, ასევე ნატურალური ფორმით. აგროსასურსათო სექტორის ძირითადი ფუნქცია სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფაა.

რეგიონის მოსახლეობის ეკონომიკური კეთილდღეობის მიღწევა დამოკიდებულია ადგილობრივი პროდუქციის წარმოების კონკურენტუნარიანობის ზრდაზე, თანამედროვე აგროტექნოლოგიების დანერგვაზე, ნიადაგის პროდუქტიულობის ამაღლებასა და აგრარულ სფეროში დასაქმებულთა ცოდნის გაფართოებაზე. რეგიონში სოფლის მეურნეობის უმთავრეს სექტორებს წარმოადგენს: მეციტრუსეობა, მევენახეობა-მეხილეობა, მებოსტნეობა, მეცხოველეობა, მეფუტკრეობა მეთევზეობა, და სხვა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მცირე მიწიანობის მიუხედავად ერთეულ ფართობზე დაბალია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მაჩვენებელი, რაც განპირობებულია დაბალი აგროტექნიკური ფონით, ამორტიზებული ნარგავებითა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის დაბალი დონით.

სამინისტროს 2018–2021 წლების პრიორიტეტი თავისი შინაარსითა და მოცულობით ძირითადად ორიენტირებულია სოფლის მეურნეობის დარგის შემდგომ განვითარებაზე. რომლის მისაღწევად საჭიროა აგარარული პოლიტიკის შემუშავება ეროვნული ტრადიციებისა და საერთაშორისო გამოცდილებების გათვალისწინებით. რეფორმების დაგეგმვა და განხორციელება. აგროსასურსათო სექტორში პროდუქციის წარმოების ზრდისა და ექსპორტზე რეალიზაციის ხელშეწყობა, სასურსათო უსაფრთხოებისათვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა. დარგში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა. პროგრამული ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება, რაც დადებითად აისახება როგორც ფერმერებზე, აგრომეწარმეებზე და ზოგადად მოსახლეობის შემოსავლებზე, ასევე რეგიონული ბიუჯეტის ზრდაზე.

15.1. აგროსასურსათო სექტორის განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მართვა

რეგიონის აგროსამრეწველო და სასურსათო სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობა და მის პრაქტიკულ განხორციელებაში სამინისტროს აპარატის მოქნილი, მაღალეფექტური და კოორდინირებული მართვის სისტემის უზრუნველყოფა.

15.2. აგროსექტორის მდგრადი განვითარება

რეგიონის სოფლის მეურნეობის სხვადასხვა მიმართულებით სიღრმისეული კვლევების განხორციელება, დარგში არსებული სიტუაციის შეფასება და სტრატეგიების მომზადება.

15.2.1. აგროსექტორის განვითარების საჭიროებათა კვლევები და სტრატეგია

მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად აგროსექტორში საჭიროებათა კვლევების საფუძველზე განსახორციელებელი ღონისძიებების დაგეგმვა.

ჩატარდება აგროსექტორის განვითარებისათვის საჭიროებათა კვლევები და მომზადდება სტრატეგიის დოკუმენტი.

15.3. სოფლის მეურნეობის განვითარება მაღალეფექტური ტექნოლოგიების დანერგვის გზით

მაღალშემოსავლიანი ერთწლიანი და მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების განვითარების, სოფლის მეურნეობის დივერსიფიკაციის, რეგიონისათვის ახალი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისა და ფუნქციის მინიჭების, რეალიზაციის ალტერნატიული სისტემის შექმნისა და აღჭურვის, დამატებული ღირებულების შემქმნელი სრული ციკლის წარმოების განვითარების, მაღალმწარმოებლური ტექნოლოგიების დანერგვისა და წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის ხელშეწყობის გზით, მოსახლეობის საქმიანობიდან მაღალი შემოსავლების მიღება, იმპორტის ჩანაცვლება და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

15.3.1. აგროპროექტების შემუშავება, მართვა და განხორციელება

რეგიონის აგარარული დარგის განვითარების ხელშეწყობა. კონკურენტუნარიანი და სტაბილური საინვესტიციო გარემოს ფორმირების მიზნით პროექტების, პროგრამებისა და ქვეპროგრამების ინიცირება და განხორციელება (მათ შორის, სამინისტროს მიერ ინიცირებული). თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით რეგიონში ფერმერული მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების, გადამუშავებისა და რეალიზაციის ქსელის განვითარების ხელშეწყობა, არსებული რესურსების კვლევა და ანალიზი, სოფლის მეურნეობის დარგის განვითარების პროცესში დონორი ორგანიზაციების მოზიდვისა და მათთან კოორდინაციის უზრუნველყოფა, მოსახლეობისა და ფართო საზოგადოების ჩართვის ეფექტური მექანიზმის შემუშავება.

15.3.2. ადგილობრივად წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციის ხელშეწყობა



სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების/გადამამუშავების/რეალიზაციის ქსელის განვითარების ხელშეწყობა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელთა და მომხმარებელთა კომუნიკაციის გაძლიერების ხელშეწყობა.

წარმოებული პროდუქციის შეუფერხებელი რეალიზაცია ფერმერული მეურნეობების განვითარებისათვის. კერძოდ, რეგიონის მასშტაბით მოეწყობა 6 ერთეული აგრომომსახურებისა და ლოჯისტიკური ცენტრი.

15.3.3. სასათბურე მეურნეობების განვითარების ხელშეწყობა

მაღალმწარმოებლური ტექნოლოგიების გამოყენებით ქობულეთის მუნიციპალიტეტში სასათბურე მეურნეობის ინფრასტრუქტურის ამ ეტაპისათვის ნაწილობრივი მოწყობა და სასათბურე მეურნეობის მართვა. რეგიონში ბოსტნეული კულტურების წარმოებაზე ორიენტირებულ ფერმერებთან 5 000 კვ.მ მიწის ფართობზე მოეწყობა სასათბურე მეურნეობები თანადაფინანსების პრინციპით.

15.3.4. მაღალეფექტური ერთწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების განვითარების ხელშეწყობა

მაღალპროდუქტიული ნიორისა და კარტოფილის სარგავი მასალისა და მინერალური, კომბინირებული მინერალური და ორგანული სასუქების აგრომეწარმეებზე და ფერმერებზე მიწოდების გზით რეგიონში წარმოებული პროდუქციის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების ზრდა.

15.3.5. მაღალეფექტური მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების განვითარების ხელშეწყობა

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მრავალწლიანი ხეხილოვანი კულტურების ბაღების გაშენება ინტენსიური ტექნოლოგიების დანერგვის გზით და დაბალმოსავლიანი ბაღების პერსპექტიული, მაღალმოსავლიანი და ექსპორტზე ორიენტირებული ალტერნატიული კულტურების ბაღებით ჩანაცვლება, შესაბამისად, ფერმერთა და აგრომეწარმეთა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

15.3.6. რძის წარმოება - რეალიზაციის ხელშეწყობა

რეგიონში წარმოებული ნედლი რძის რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტებში ფერმერებიდან რეფერატორით აღჭურვილი ავტოსატრანსპორტო საშუალებით შეგროვებული რძის გადამამუშავებელ საწარმოებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

15.3.7. სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ტექნიკური საშუალებებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა

მცენარეთა დაცვის ღონისძიებების გაუმჯობესების მიზნით ფერმერებსა და აგრომეწარმეებზე თანადაფინანსების პრინციპით შეძენილი იქნება დისპერსიული გაფრქვევის ტექნოლოგიებით აღჭურვილი მობილური შემასხურებელი აპარატი.

მეცხოველეობის დარგში საკვები ბაზის განმტკიცების მიზნით ფერმერებსა და აგრომეწარმეებზე თანადაფინანსების პრინციპით შეძენილი იქნება მოტობლოკი სათიბელას კომპლექტაციით.

15.3.8. ვენახის ფართობებისათვის რკინა-ბეტონის საყრდენი ბოძებით უზრუნველყოფის ხელშეწყობა

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ვენახის გაშენებისათვის საჭირო საყრდენი შპალერით ფერმერთა უზრუნველყოფა თანადაფინანსების პრინციპით.

15.3.9. მეჩაიეობის განვითარების ხელშეწყობა

მეჩაიეობის დარგის განვითარების მიზნით ჩაის ახალი პლანტაციების გაშენება 20 ჰა თანამედროვე ინტენსიური ტექნოლოგიების გამოყენების გზით.

15.4. აგროსერვისის განვითარება რეგიონში

მაღალეფექტური და კოორდინირებული მართვის სისტემის უზრუნველყოფა; სტრუქტურულ ქვედანაყოფებში შრომის ნაყოფიერების ამაღლება და ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრის“ ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება.

სუბტროპიკული და კონტინენტალური სერტიფიცირებული სარგავი მასალის წარმოების განვითარების ხელშეწყობა. თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით სადემონსტრაციო ნაკვეთების მოწყობა, თანამედროვე ტექნოლოგიური სიახლეებისა და ინოვაციების პრაქტიკული დემონსტრირებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა კვალიფიკაციისა და ცოდნის ამაღლება, სასოფლო-სამეურნეო დარგების მიხედვით ტრენინგების, გამოფენების, ფესტივალებისა და ფორუმების მოწყობა. არსებული სუბტროპიკული და კონტინენტალური ერთწლიანი და მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო და დეკორატიული კულტურების ჯიშთგანახლებისათვის, ასევე პერსპექტიული და ალტერნატიული სასოფლო-სამეურნეო კულტურების სარგავი მასალის წარმოებისათვის საჭირო საკოლექციო, სადედე და სანერგე მეურნეობებისა და სადემონსტრაციო ნაკვეთების მოწყობა.

მეცხოველეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით ხელოვნური განაყოფიერების პრაქტიკის დანერგვისა და მაღალპროდუქტიული წვრილფეხა და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სანაშენე ბაზისა და გენოფონდის შექმნა და განვითარების ხელშეწყობა. შესაბამისად, არსებული კადრების კვალიფიკაციის ღონის ამაღლება და დატრენინგება. ნიადაგის ლაბორატორიული კვლევა. ბოსტნეული კულტურებისთვის სასათბურე მეურნეობების მოწყობა და ფერმერთა სწავლება-კონსულტირება.

15.4.1. ა(ა)იპ – აგროსერვის ცენტრის ორგანიზაციული უზრუნველყოფა და მართვა

ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრის“ ადმინისტრაციული აპარატის მოქნილი, მაღალეფექტური და კოორდინირებული მართვის სისტემის უზრუნველყოფა; სტრუქტურულ ქვედანაყოფებში შრომის



ნაყოფიერების ამაღლება და ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრის“ ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება.

15.4.2. ჩაქვისა და გვარა ხუცუზნის სანერგე მეურნეობების განვითარება

მაღალტექნოლოგიური სადემონსტრაციო ბაღების მოწყობა, უვირუსო სანერგე მეურნეობების ჩამოყალიბება და ტექნოლოგიურად გამართული სასათბურე მეურნეობები.

15.4.3. ახალი სანერგე, საჩითილე და სანაშენე მეურნეობების მოწყობა

თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ახალი სანერგე, საჩითილე და სანაშენე მეურნეობების მოწყობა მაღალმთიან აჭარაში.

15.4.4. ახალი აგარარული პროექტებისა და ტექნოლოგიების დემონსტრირება

ახალი აგარარული პროექტების განხორციელება და ტექნოლოგიების დემონსტრირება მეაბრეშუმეობის დარგის განვითარების მიზნით.

15.4.5. ადგილობრივი წარმოების პროდუქტების პოპულარიზაციის ღონისძიებები

ადგილობრივი წარმოების სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის პოპულარიზაცია გამოფენების, ფესტივალებისა და ფორუმის ორგანიზების გზით.

15.4.6. სოფლის მეურნეობის პროდუქციის პოპულარიზაციის მიზნით მარკეტინგული ღონისძიებების ორგანიზება

რეგიონის ფერმერთა და აგრომეწარმეთა ცნობიერების ამაღლება თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების მიმართულებით, წარმოებული პროდუქციის პოპულარიზაცია, აგროტურიზმის განვითარების ხელშეწყობა.

15.5. ლაბორატორიული კვლევითი მომსახურება

ლაბორატორიული კვლევითი მომსახურება, ლაბორატორიის აკრედიტაციის სფეროს გაფართოება საერთაშორისო სტანდარტების (ISO) შესაბამისად, სოფლის მეურნეობის დარგების განვითარების მიზნით სურსათის უვნებლობის, მცენარეთა დაცვისა და ვეტერინარიის სფეროში მიღწეული სერვისების ეფექტიანობის გაზრდა.

სასმელი, ზედაპირული, ჩამდინარე, ზღვის, აუზებისა და წყალსატევების წყლის, მცენარეული და ცხოველური წარმოშობის კვების პროდუქტების ნიმუშების ორგანოლექტიკური, ქიმიური, მიკრობიოლოგიური (ბაქტერიოლოგიური, ვირუსოლოგიური, სეროლოგიური) პარაზიტოლოგიური და რადიოლოგიური (რადიექტიური ნივთიერებები) კვლევები; სასოფლო-სამეურნეო კულტურებში ვირუსული და სოკოვანი დაავადებების დიაგნოსტიკა; მცენარეთა საკარანტინო და სხვა მავნე ორგანიზმების გამოკვლევა; ნიადაგის ნაყოფიერების მაჩვენებლების დადგენა, აგროქიმიკატებისა და პესტიციდების შემცველი ელემენტების გამოკვლევები; გამოკვლევების შედეგების შესაბამისად სათანადო რეკომენდაციების გაცემა.

15.6. მეციტრუსეობის განვითარების ხელშეწყობა

რეგიონის მეციტრუსე ფერმერების მხარდაჭერა და ციტრუსის გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარების ხელშეწყობა

15.6.1. ციტრუსის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობა

რეგიონის მეციტრუსე ფერმერთა ხელშეწყობა სამრეწველო მანდარინის რეალიზაციის მიმართულებით და გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარების სტიმულირება.

15.7. აგარარული ექსტენციისა და პრაქტიკული სერვისების მიწოდება

სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებელი ფერმერებისა და აგრომეწარმეების საქმიანობის ეფექტურობისა და მდგრადობის ამაღლება, აგარარული დარგის სტუდენტ კურსდამთავრებულთა სტაჟირება, აგროსპეციალისტთა და აგრომეწარმეთა ტრენინგის გზით პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება და კვალიფიკაციის ამაღლება.

15.7.1 აგარარული ექსტენციის მიწოდება

მემცენარეობის, მეცხოველეობის, მეფრინველეობის, მეთევზეობის, მეფუტკრეობის, სასათბურე მეურნეობებისა და მცირე მექანიზაციის მიმართულებით ექტენციის მომსახურების მიწოდება.

15.7.2. საგანმანათლებლო და სამეცნიერო პრაქტიკის დანერგვა

აგარარული დარგის სტუდენტ კურსდამთავრებულთა სტაჟირება, აგროსპეციალისტთა და აგრომეწარმეთა ტრენინგის გზით პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება და კვალიფიკაციის ამაღლება.

15.8. მსხვილფეხა პირუტყვის ჯიშგანახლების ხელშეწყობა

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯიშგანახლების, მეცხოველეობის დარგში ჩართული ფერმერებისა და კერძო ვეტერინარების ხელშეწყობის მიზნით ხელოვნური განაყოფიერების მომსახურების თანადაფინანსება.

16. საარქივო ფონდის დაცულობის და დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული საარქივო ფონდის განვითარება, აღწერა, ცენტრალიზებული წესით აღრიცხვა, დაცვა და გამოყენება. დაზიანებული დოკუმენტების რესტავრაცია, დოკუმენტების მეცნიერულ-ტექნიკური დამუშავება, განსაკუთრებული ღირებულების მქონე დოკუმენტებზე სადაზღვევო და ელექტრონული საარქივო ფონდის შექმნა.

16.1. საარქივო ფონდის დაცვა, შენახვა, გაუმჯობესება

საარქივო მასალების სტანდარტების შესაბამისი დაცვა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული საარქივო ფონდის განვითარება, აღწერა, ცენტრალიზებული წესით აღრიცხვა, სტანდარტების შესაბამისი დაცვა და გამოყენება. დაზიანებული



დოკუმენტების რესტავრაცია, დოკუმენტების მეცნიერულ-ტექნიკური დამუშავება, განსაკუთრებული ღირებულების მქონე დოკუმენტებზე სადაზღვევო და ელექტრონული საარქივო ფონდის შექმნა, არქივში დაცული დოკუმენტების საფუძველზე იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე მომსახურება. ისტორიულად ღირებული საარქივო დოკუმენტების გამოფენის მოწყობა. ურთიერთთანამშრომლობა საზღვარგარეთის არქივებთან და საქართველოს შესახებ არსებული დოკუმენტების შემოტანა. ისტორიის ამსახველი მასალების გამოვლენა ჟურნალისა და ბუკლეტების გამოსაცემად. სამეცნიერო კონფერენციების მოწყობა.

16.1.1. საარქივო დოკუმენტების ელექტრონული არქივის შექმნა

საარქივო დოკუმენტების (ქაღალდისფუძიანი ციფრული ვერსიის შექმნა, დასკანერებული ფაილების ტექნიკური დამუშავება, ტექნიკური რევიზია, ანოტირება, ელექტრონული ფაილების თავმოყრა სპეციალურ პროგრამაში „საარქივო დოკუმენტების ელექტრონული რეესტრი“.

16.1.2. საარქივო საცავების რეაბილიტაცია

საარქივო სამმართველოში შემოსული საარქივო დოკუმენტაციის შენახვისათვის სტანდარტებით გათვალისწინებული ფონდსაცავების მოწყობა.

თავი VI

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის საბიუჯეტო ასიგნებები და პროგრამების დაფინანსება

მუხლი 13. საბიუჯეტო ასიგნებები და პროგრამების დაფინანსება

განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2018 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის საბიუჯეტო ასიგნებები და პროგრამების დაფინანსება საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით 375 521.5 ათასი ლარის ოდენობით თანდართული რედაქციით:

(ათასი ლარი)

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა
1	2	3	4	5
	სულ ჯამი	186,090.6	290,709.8	375,521.5
	მომუშავეთა რიცხოვნობა	3,654.0	3,639.0	3,351.0
	ხარჯები	143,320.9	189,353.1	196,247.2
	შრომის ანაზღაურება	38,176.0	35,385.3	37,252.6
	არაფინანსური აქტივების ზრდა	36,830.6	61,974.1	103,195.9
	ფინანსური აქტივების ზრდა	4,400.0	38,033.8	74,017.6
	ვალდებულებების კლება	1,539.1	1,348.8	2,060.7
01 00	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო	4,866.8	4,800.9	5,046.8
	მომუშავეთა რიცხოვნობა	125.0	125.0	117.0
	ხარჯები	4,807.3	4,647.9	4,996.8
	შრომის ანაზღაურება	3,439.7	3,262.2	3,428.2
	არაფინანსური აქტივების ზრდა	59.4	153.0	50.0
01 01	საკანონმდებლო საქმიანობა	4,866.8	4,800.9	5,046.8
	მომუშავეთა რიცხოვნობა	125.0	125.0	117.0
	ხარჯები	4,807.3	4,647.9	4,996.8
	შრომის ანაზღაურება	3,439.7	3,262.2	3,428.2
	არაფინანსური აქტივების ზრდა	59.4	153.0	50.0
02 00	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია	3,250.5	626.2	636.6
	მომუშავეთა რიცხოვნობა	19.0	22.0	21.0



	მომუშავეთა რიცხოვნობა	19.0	22.0	21.0
	ხარჯები	3,228.4	626.2	636.6
	შრომის ანაზღაურება	2,674.1	582.4	590.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	22.1	0.0	0.0
02 01	საარჩევო სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება	506.8	626.2	636.6
	მომუშავეთა რიცხოვნობა	19.0	22.0	21.0
	ხარჯები	506.8	626.2	636.6
	შრომის ანაზღაურება	477.2	582.4	590.0
02 02	არჩევნების ჩატარების უზრუნველყოფა	2,743.8	0.0	0.0
	ხარჯები	2,721.7	0.0	0.0
	შრომის ანაზღაურება	2,196.9	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	22.1	0.0	0.0
03 00	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და მთავრობასთან არსებული ორგანიზაციები	53,216.8	64,798.9	82,503.7
	მომუშავეთა რიცხოვნობა	559.0	537.0	470.0
	ხარჯები	22,536.7	26,915.3	31,866.3
	შრომის ანაზღაურება	8,136.7	7,632.3	8,092.5
	არაფინანსური აქტივების ზრდა	30,456.6	37,842.7	50,637.4
	ვალდებულებების კლება	223.5	40.8	0.0
03 01	მთავრობის უფლებამოსილების განხორციელების ხელშეწყობა	4,148.6	2,868.5	3,496.7
	მომუშავეთა რიცხოვნობა	119.0	119.0	72.0
	ხარჯები	4,126.0	2,860.4	3,336.7
	შრომის ანაზღაურება	2,393.8	2,053.3	1,936.8
	არაფინანსური აქტივების ზრდა	8.6	7.3	160.0
	ვალდებულებების კლება	14.0	0.8	0.0
03 02	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო	4,618.4	4,214.2	4,619.7
	მომუშავეთა რიცხოვნობა	234.0	235.0	213.0
	ხარჯები	3,945.7	3,920.2	4,354.9
	შრომის ანაზღაურება	2,612.1	2,567.6	2,760.3
	არაფინანსური აქტივების ზრდა	667.2	294.0	264.8
	ვალდებულებების კლება	5.5	0.0	0.0
03 02 01	გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ორგანიზაციული მართვა	1,100.8	1,234.5	1,185.5
	მომუშავეთა რიცხოვნობა	52.0	53.0	45.0
	ხარჯები	1,093.7	1,049.5	1,180.7
	შრომის ანაზღაურება	897.5	848.1	888.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	4.2	185.0	4.8
	ვალდებულებების კლება	2.9	0.0	0.0
03 02 02	გარემოსდაცვითი პროგრამა	43.5	43.5	54.6
	ხარჯები	43.5	43.5	54.6



03 02 02 01	ატმოსფერული ჰაერის, ჩამდინარე და ზედაპირული წყლების ხარისხობრივი მაჩვენებლების მონიტორინგი	15.0	15.0	20.2
	ხარჯები	15.0	15.0	20.2
03 02 02 02	აჭარის სანაპირო ზოლის ზღვის წყლის ხარისხობრივი მაჩვენებლების მონიტორინგი	28.5	28.5	34.4
	ხარჯები	28.5	28.5	34.4
03 02 04	ტყის დაცვა და მოვლა	313.8	191.7	218.0
	ხარჯები	229.9	191.7	218.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	83.9	0.0	0.0
03 02 04 01	დეგრადირებული ტყეების აღდგენა-განახლება და ტყის მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლა	313.8	191.7	218.0
	ხარჯები	229.9	191.7	218.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	83.9	0.0	0.0
03 02 06	საზოგადოების ცნობიერების ამაღლება	11.2	4.0	4.0
	ხარჯები	11.2	4.0	4.0
03 02 06 01	სატყეო სექტორში ცნობიერების ამაღლება	0.0	4.0	4.0
	ხარჯები	0.0	4.0	4.0
03 02 06 02	სატყეო სექტორში განათლების ხელშეწყობა	11.2	0.0	0.0
	ხარჯები	11.2	0.0	0.0
03 02 07	ორგანიზაციული მართვა და ინფრასტრუქტურული პროექტები	2,656.3	2,740.5	3,157.7
	მომუშავეთა რიცხოვნობა	182.0	182.0	168.0
	ხარჯები	2,567.3	2,631.6	2,897.7
	შრომის ანაზღაურება	1,714.6	1,719.5	1,872.3
	არაფინანსური აქტივების ზრდა	86.4	109.0	260.0
	ვალდებულებების კლება	2.6	0.0	0.0
03 02 07 01	ორგანიზაციული მართვა	2,262.5	2,294.3	2,619.9
	მომუშავეთა რიცხოვნობა	182.0	182.0	168.0
	ხარჯები	2,197.6	2,214.5	2,389.9
	შრომის ანაზღაურება	1,714.6	1,719.5	1,872.3
	არაფინანსური აქტივების ზრდა	62.2	79.9	230.0
	ვალდებულებების კლება	2.6	0.0	0.0
03 02 07 02	სატყეო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის გამართვა	393.9	446.2	537.8
	ხარჯები	369.7	417.1	507.8
	არაფინანსური აქტივების ზრდა	24.2	29.1	30.0
03 02 08	ტყის მართვის დაგეგმვა	492.7	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	492.7	0.0	0.0
03 03	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი	5,394.5	7,266.2	9,764.8
	მომუშავეთა რიცხოვნობა	43.0	42.0	46.0
	ხარჯები	5,344.5	6,751.6	9,385.9
	შრომის ანაზღაურება	668.4	672.8	895.2



	არაფინანსური აქტივების ზრდა	50.0	514.5	378.9
03 03 01	ტურიზმისა და კურორტების სფეროს მართვა და დარგის ეფექტიანი განვითარების ხელშეწყობა	1,031.6	1,387.5	1,559.5
	მომუშავეთა რიცხოვნობა	33.0	33.0	33.0
	ხარჯები	1,016.1	907.9	1,276.8
	შრომის ანაზღაურება	548.8	555.2	667.2
	არაფინანსური აქტივების ზრდა	15.5	479.5	282.7
03 03 01 01	ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მართვა	824.7	738.1	1,021.7
	მომუშავეთა რიცხოვნობა	33.0	33.0	33.0
	ხარჯები	812.7	725.3	959.0
	შრომის ანაზღაურება	548.8	555.2	667.2
	არაფინანსური აქტივების ზრდა	12.0	12.8	62.7
03 03 01 02	დარგის საჭიროებებისა და განვითარების პოტენციალის კვლევა და სტატისტიკის წარმოება	174.0	103.7	133.8
	ხარჯები	174.0	103.7	133.8
03 03 01 03	კერძო და საჯარო სექტორთან თანამშრომლობით აჭარაში ტურიზმის მდგრადი განვითარების ხელშეწყობა	0.4	1.2	4.0
	ხარჯები	0.4	1.2	4.0
03 03 01 04	დეპარტამენტის ორგანიზაციული განვითარება	32.5	544.5	400.0
	ხარჯები	29.0	77.8	180.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	3.5	466.7	220.0
03 03 02	აჭარის ტურისტული მარკეტინგი ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე	3,354.8	4,987.4	6,720.0
	ხარჯები	3,354.8	4,987.4	6,720.0
03 03 02 01	რეგიონის, როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილის მარკეტინგი საერთაშორისო ბაზრებზე	3,004.5	4,612.8	6,220.0
	ხარჯები	3,004.5	4,612.8	6,220.0
03 03 02 02	რეგიონის ტურისტული პოტენციალის რეკლამირება ქვეყნის შიგნით	350.4	374.6	500.0
	ხარჯები	350.4	374.6	500.0
03 03 03	ტურისტული პროდუქტებისა და სერვისების განვითარება	1,008.0	891.3	1,485.3
	მომუშავეთა რიცხოვნობა	10.0	9.0	13.0
	ხარჯები	973.5	856.3	1,389.1
	შრომის ანაზღაურება	119.6	117.7	228.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	34.5	35.0	96.2
03 03 03 01	სრულყოფილი ინფორმაციითა და ხარისხიანი მომსახურებით ტურისტების უზრუნველყოფა	441.7	442.0	660.7
	მომუშავეთა რიცხოვნობა	10.0	9.0	13.0
	ხარჯები	412.1	429.2	635.9
	შრომის ანაზღაურება	119.6	117.7	228.0



	არაფინანსური აქტივების ზრდა	29.6	12.8	24.8
03 03 03 02	ადამიანური რესურსების განვითარება და ტურიზმის შესახებ ცნობიერების ამაღლება	16.9	73.7	323.0
	ხარჯები	12.0	73.7	308.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	4.9	0.0	15.0
03 03 03 03	ტურიზმის დარგში მომსახურების საუკეთესო პრაქტიკის დამკვიდრების ხელშეწყობა	32.3	2.2	27.0
	ხარჯები	32.3	2.2	22.5
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	4.5
03 03 03 04	ტურისტული პროდუქტების განვითარება და დივერსიფიკაცია	517.2	373.5	474.6
	ხარჯები	517.2	351.3	422.7
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	22.2	51.9
03 04	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო სამმართველო	2,043.3	1,976.3	2,271.6
	მომუშავეთა რიცხოვნობა	86.0	86.0	80.0
	ხარჯები	1,766.5	1,791.5	1,899.4
	შრომის ანაზღაურება	1,359.5	1,367.0	1,435.8
	არაფინანსური აქტივების ზრდა	272.5	184.7	372.2
	ვალდებულებების კლება	4.3	0.0	0.0
03 04 01	საარქივო ფონდის დაცვა, შენახვა, გაუმჯობესება	2,043.3	1,976.3	2,271.6
	მომუშავეთა რიცხოვნობა	86.0	86.0	80.0
	ხარჯები	1,766.5	1,791.5	1,899.4
	შრომის ანაზღაურება	1,359.5	1,367.0	1,435.8
	არაფინანსური აქტივების ზრდა	272.5	184.7	372.2
	ვალდებულებების კლება	4.3	0.0	0.0
03 04 01 01	საარქივო სამმართველოს მართვა და მომსახურების მიწოდება	1,644.0	1,626.0	1,760.1
	მომუშავეთა რიცხოვნობა	86.0	86.0	80.0
	ხარჯები	1,572.0	1,596.1	1,694.5
	შრომის ანაზღაურება	1,359.5	1,367.0	1,435.8
	არაფინანსური აქტივების ზრდა	67.8	29.8	65.6
	ვალდებულებების კლება	4.3	0.0	0.0
03 04 01 02	საარქივო დოკუმენტების ელექტრონული არქივის შექმნა	240.6	202.0	361.5
	ხარჯები	194.6	195.4	204.9
	არაფინანსური აქტივების ზრდა	46.0	6.6	156.6
03 04 01 03	საარქივო საცავების რეაბილიტაცია	158.7	148.3	150.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	158.7	148.3	150.0
03 06	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტი	36,741.8	48,351.5	62,350.9



	მომუშავეთა რიცხოვნობა	53.0	55.0	59.0
	ხარჯები	7,083.9	11,469.3	12,889.4
	შრომის ანაზღაურება	849.9	866.2	1,064.4
	არაფინანსური აქტივების ზრდა	29,458.2	36,842.2	49,461.5
	ვალდებულებების კლება	199.7	40.0	0.0
03 06 01	საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვა	1,002.2	1,385.9	1,331.3
